საქართველოს გარემოსა დაცვის და სოფლის

მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილის

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „ნახიდური ჰესი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამზე გეგმავს 7,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის, დღეღამური რეგულირებაზე მომუშავე „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობას და ექსპლუატაციას.

დაგეგმილი საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების“ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, საქართველო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იყო სკოპინგის ანგარიში, რაზე მინისტრის მიერ 22.01.2020 ბრძანებით გაიცა N9 სკოპინგის დასკვნა. ამავე სკოპინგის დასკვნის საფუძველზე სამინისტროში წარდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან ახლდა გამომუშავებული ელ. ენერგიის ჩართვის მიზნით მოსაწყობი ელ. გადამცემი ხაზის პროექტიც. სამინისტროს 2020 წლის 15 აპრილის N3875/01 წერილის თანახმად, წარმოგიდგენთ გზშ-ის განახლებულ ვერსია ელ. გადამცემი ხაზის პროექტის გარეშე და გთხოვთ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
2. „ნახიდური ჰესი“-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის - 1 ნაბეჭდი ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია CD-დისკზე;
3. საქმიანობის განხორციელების ადგილის, წყლის შეტბორვის, სანაყაროების და სამშენებლო ბანაკების GIS კოორდინატები, SHP ფაილის სახით;
4. გზშ-ის ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ნახიდური ჰესი“-ს რეგისტრაციის თაობაზე;

მოგახსენებთ, რომ ჩატარებულია ტყის აღიცხვა (ტაქსაცია) და მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, ტყეკაფვის აბრისის ჩათვლით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვა განხორციელდება მხოლოდ სამშენებლო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ საქართველოს მთავრობასთან. შესაბამისად, ეს გარემოება გთხოვთ გაითვალისწინოთ გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემისას.

პატივისცემით,

თენგიზ ალავიძე

შპს „ნახიდური ჰესი“-ის

დირექტორი

შპს "ნახიდური ჰესი" საქართველო 400207049 GEORGIA. "NAKHIDURI HPP" LLC

22 აპრილი 2020
გ. 577225133

საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 6319
23 04 2020
1/CD
03